



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 190/ს
02/05/2023

190-21-4-202305021426



**მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. საგურამოში, შპს „ბ.ა.ლ. გრუპის“ სასარგებლო
წიაღისეულის (კირქვა) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე
სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „ბ.ა.ლ. გრუპის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. საგურამოში, სასარგებლო წიაღისეულის (კირქვა) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის (კირქვა) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა დაგეგმილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. საგურამოში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.06.02.039.605; ფართობი: 5429 მ²), რომელსაც კომპანია ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ნაკვეთი ბეტონის ღობით გაყოფილია ორ ნაწილად, ერთ ნაწილზე განთავსებულია სამეურნეო ტიპის ორი შენობა, რომლებიც ამ ეტაპზე უფუნქციოა, ხოლო მეორე ნაწილზე (დაახლოებით 2500 მ²) დაგეგმილია კირქვის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა. სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის განთავსების GPS კოორდინატებია: X-478923.00, Y-4638646.00. უახლოესი საცხოვრებელი სახლი, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 320 მეტრით, ხოლო უშუალოდ სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის განთავსების წერტილიდან - 400 მეტრით. საპროექტო ტერიტორიას სამხრეთით ესაზღვრება ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი „ზედაზენის“ ქარხანა, ხოლო დასავლეთით - შპს „ელენეს“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია უფუნქციო შენობა-ნაგებობა. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 500 მეტრში მდებარეობს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ბალანსზე რიცხული წყალსაცავები.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქმიანობის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ტექნოლოგიური დანადგარებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსება: ნედლეულის მიმღები ბუნკერი, ჩაქურჩის ტიპის სამსხვრევი, დახურული ელევატორი, საფქვავე წისქვილის ბუნკერი, საფქვავე წისქვილი, სახელოიანი ფილტრები და ციკლონი (მტვრის დაჭერის ეფექტურობა 99.8%), დამახარისხებელი და სასაწყობო მოედნები. აღნიშნული

ობიექტები განთავსდება სრულად დახურულ, რკინის კონსტრუქციის შენობა-ნაგებობაში, რომელიც მოეწყობა ბეტონის საძირკველზე, დაახლოებით 756 მ² ფართობზე. ტერიტორიაზე ასევე განთავსდება პერსონალისთვის განკუთვნილი, 60 მ² ფართობის მქონე, ერთსართულიანი მსუბუქი კონსტრუქციის (ე.წ. „სენდვიჩპანელის“) ნაგებობა. საპროექტო საწარმო აღჭურვილი იქნება ცეცხლმაქრებითა და სახანძრო ინვენტარით. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია ობიექტის გარე პერიმეტრის მოხრეშვა. საპროექტო საწარმოს მოწყობის სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს. საწარმოში გათვალისწინებულია დღეში 100 ტონა კირქვის მშრალი მეთოდით გადამუშავება (36 000 ტონ/წელ). ობიექტის იმუშავებს წელიწადში 360 დღე, დღე-ღამეში 20 საათი და დასაქმდება 10 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ობიექტის ტერიტორიაზე კირქვის შემოტანა დაგეგმილია მარაგადახურული ავტოთვითმცლელების საშუალებით, დედოფლისწყაროში არსებული სხვადასხვა ლიცენზირებული კარიერებიდან. ნედლეული განთავსდება მიმღებ ბუნკერში, საიდანაც მიეწოდება ჩაქურჩის ტიპის სამსხვრევს. დამსხვრეული მასალა, დახურული ელევატორის საშუალებით, გადაიტანება საფქვაკი წისქვილის მიმღებ ბუნკერში და შემდგომ - საფქვაკ წისქვილში, რომელიც დამხარისხებლის საშუალებით უზრუნველყოფს წინასწარ, პროგრამულად მითითებული ზომის ფრაქციის გამოშვებას. მიღებული პროდუქცია დროებით განთავსდება სასაწყობო მოედანზე და შემდგომ გატანილი იქნება კომპანიის საკუთრებაში არსებული ცემენტმზიდი ცისტერნით, რისთვისაც დღის განმავლობაში განხორციელდება 2-3 სატრანსპორტო ოპერაცია.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საწარმოში წყლის გამოყენება გათვალისწინებულია მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, რისთვისაც წყალაღება განხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელიდან. ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება მოხდება ადგილობრივ საკანალიზაციო სისტემაში. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები ჩაიჟონება გრუნტში. ვინაიდან, ობიექტზე მოსაწყობი ტექნოლოგიური დანადგარები, მათ შორის მზა პროდუქციის მოედნები განთავსებული იქნება სრულად დახურულ შენობაში, ხოლო საწარმოს გარე პერიმეტრი მოიხრეშება, სანიაღვრე წყლების შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ინფორმაცია საპროექტო საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ობიექტისა და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის განთავსება არ ითვალისწინებს მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, რომელიც გაგრძელდება დაახლოებით 3 თვის განმავლობაში, საწარმოს მოწყობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპს, ვინაიდან, საწარმოს შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტები მოეწყობა დახურულ შენობა-ნაგებობაში და ტექნოლოგიური დანადგარები აღჭურვილი იქნება ციკლონებითა და სახელოიანი ფილტრებით, რომელთა მტვრის დაჭერის ეფექტურობა შეადგენს 99.8%-ს, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არაორგანული მტვრის რაოდენობა იქნება უმნიშვნელო.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს მოწყობის ეტაპზე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებები და

სამშენებლო ტექნიკა, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე - ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, საწარმოს მოწყობის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. რაც შეეხება ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპს, დოკუმენტში მოცემულია საწარმოს ფუნქციონირებით მოსალოდნელი ხმაურის დონეების გაანგარიშების შედეგები, რომლის თანახმად, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 26.5 დბას. შესაბამისად, ობიექტის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რისთვისაც ტერიტორიაზე განთავსდება შესაბამისი კონტეინერები. ნარჩენების გატანა უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება სახელოიან ფილტრებში დაგროვილ მტვერს, მისი ამოღება მოხდება პერიოდულად და გატანილი იქნება სარეალიზაციოდ.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო საწარმოს მოსაწყობად საჭირო სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე, 756 მ² ფართობზე, საჭირო იქნება დაახლოებით 75.6 მ³ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, რომლის სიმძლავრეც შეადგენს 0,10 მ-ს. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა-დასაწყობება განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ობიექტი განთავსებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც ხე-მცენარეები წარმოდგენილი არ არის. საწარმოს სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციით გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან 500 მეტრიან რადიუსში სხვა, ანალოგიური პროფილის საწარმოო ობიექტ(ებ)ი არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გაიგზავნა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის, ადგილმდებარეობისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. საგურამოში შპს „ბ.ა.ლ. გრუპის“ სასარგებლო წიაღისეულის (კირქვა) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ბ.ა.ლ. გრუპი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბ.ა.ლ. გრუპს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბ.ა.ლ. გრუპის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო